№ 142 8 ივლისი, ქვირა 1866—1879 8 ივლისი, ქვირა № 142

დროება

ᲔᲛᲘᲚᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

რედაქცია: სოლოლაკზე, ბ ლის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. Бараше მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განცხადებისა: ერთ სტრიქონად ასოზე 1 კ. ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲪᲘᲡᲠᲝᲗᲘ — 5 კ.Პ., ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲗᲘ — 4 კᲐᲞ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ᲤᲘᲜᲐᲜᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 10 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ, ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲐ.

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲖᲔ“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (საადოვის) ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლებში, № 33.

ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲤᲐᲡᲘ ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 ივლისიდამ წლის დამლევამდინ, გაგზავნით—**ᲮᲣᲗᲘ** მანეთი.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

(ხალხთა-შორის ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲘ)

ᲕᲔᲠᲡᲐᲚᲘ, 4 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. Დეპუტატების პალატამ დაამტკიცა სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტი (შემოსავალ-გასავალი).

ᲑᲣᲠᲒᲐᲡᲘ, 4 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. Იმედი აქვთ, რომ ამ აგვისტოს დამდეგს სულ ყველა რუსის ჯარები დაბრუნდებიან უკან Ოსმოსავლეთ რუმელიიდამ. რაზგრადიდამ მოვიდა ამბავი, რომ მაჰმადიანები აჯანყდნენო; ᲕᲐᲠᲜᲐᲡᲐ და ᲠᲣᲡᲩᲣᲙᲡ შუა ტელეგრაფის მავთული გაწყვეტილია. ბოლგარიის ჯარები რაზგრადისაკენ წავიდნენ.

ᲡᲝᲤᲘᲐ, 3 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. 28 ივნისს მაჰმადიანები დაეცნენ თავს ᲝᲡᲛᲐᲜ-ᲑᲐᲖᲐᲠᲘᲡ სანჯაყში ბოლგარიის ჯარებს (დრუჟინებსა) და სოფლებს. ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲔᲚᲔᲑᲘ ძალიან მარჯვედ დაუხვდნენ; იმათ უკუაქციეს მტერი; ცხრა დრუჟინა და ორი ესკადრონი (ცხენოსანი ჯარი) გაგზავნეს კიდევ იქითკენ აჯანყებულების დასამშვიდებლად.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲚᲘ, 6 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. ᲑᲣᲨᲘᲜ დაიწყეს, აქაურს ᲝᲚᲥᲘᲡ სასამართლოში გარჩევა აფიცრის ᲚᲐᲜᲓᲡᲑᲔᲠᲒᲘᲡ საქმისა, რომელმანც მოხუცებული კაცი ᲛᲚᲐᲡᲝᲕᲘ და დედა-კაცი სემენიდა მოჰკლა (ფულის გულისათვის) ᲑᲠᲝᲜᲓᲔᲜᲘᲡ ქუჩის ერთს სახლში. ᲓᲦᲔᲡ ღამის ორ საათზე გაათავეს ამ საქმის განხილვა. ᲜᲐᲤᲘᲪ მსაჯულებმა აღიარეს, რომ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲚᲐᲜᲓᲡᲑᲔᲠᲒᲛᲐ განზრახ მოჰკლა ეს ორი სულიო. სამმართველომ გარდაუწყვიტა იმას ყველა ღირსებების ჩამოხდა და 15 წლით ᲡᲘᲛᲑᲘᲠᲘᲡᲨᲘ გაგზავნა კატორღის სამუშაოში.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲚᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 2 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ

(ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲘᲤᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲘ)

ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ:		ᲛᲐᲜ.	ᲙᲐᲞ.
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ	—	95	—25
ᲛᲔᲝᲠᲔ —	—	95	— „
ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲡᲘ —	—	94	—75
ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲡᲘ —	—	94	—75
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠ.	—	92	—62
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲠᲔ	—	92	—87
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ, ᲛᲔᲡᲐᲛᲔ	—	92	—75
ᲝᲥᲠᲝ, ½ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘ	—	8	—17
ᲗᲤᲘᲚ. ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜ. ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲒᲘᲠᲐᲝᲡ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ	—	„	— „

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ 5% ᲡᲔᲡᲮᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ

		ᲛᲐᲜ.	ᲙᲐᲞ.
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ	—	232	—25
ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ	—	232	—50

1 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ:

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ	— —	24	—	„ ᲞᲔᲜᲡᲘ
ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ	—	119	—75	ᲪᲔᲜᲢᲘ
ᲞᲐᲠᲘᲖᲘ	— —	205	—50	ᲤᲠᲐᲜᲒᲘ
ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘ	— —	254	—	„ ᲡᲐᲜᲢᲘᲛᲘ
ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲙᲔᲠᲐᲡᲘᲜᲘ	—	„	—	

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

რაოდენსამე წლის წინათ ვინ იფიქრებდა, ვის მოუვიდოდა თავში, რომ ქართული თეატრი დაწესდებოდა!

Მრავალთ ჩვენში არ მოსწონდათ და დღესაც არ მოსწონთ ქართული თეატრი; არა თუ უწინ, ეხლაც სძრახვენ და ამბობენ, რომ რა დასანახველია ხალხისათვის: არშიყობა, შეყვარება, ანგაარება, სიძუნწე, ბედოვლათობა, ვალზედ უარის ყოფა და სხვა ამგვარი მოქმედებანი, მაშინ როდესაც ესენი ჩვენში ღღითი-ღღე მრავლდებაო! Მაგრამ ეს კი არ ესმისთ, რომ ცუდი ყოფა-ქცევის ხალხის გამოაშკარება და წარმოდგენა იმისათვის ხომ არ არის, რომ ესენი გახშირდეს, ამას მიტომ გამოაშკარავებენ და წარმოადგენენ ხალხში, რომ ვისაც მაყურებელთაგანს ენიშნებოდეს, რომ რომელიმე მოქმედება მიემზგავსება მისს საქციელსა, მოიშალოს ამგვარი საქციელი და დაიჭიროს უკეთესი.

Მაშ როგორ ჰგონიათ თეატრი? Თეატრი არის სარკე დამანახვებელი მახინჯურის სახისა; თუ კაცმა სარკეში არ ჩაიხედა, სრულებით ვერ დაინახავს თავის სახეს, ძალიან მახინჯიც რომ იყოს, არ ეცოდინება თავისი სიმახინჯე; თეატრი არის დამანახვებელი ხალხის ცუდის ხასიათებისა და საქციელებისა, რომლებსაც წარმომადგინებელნი დასცინიან რომ მოისპოს—არამც თუ გახშირდეს.

ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ქართული წარმოდგენა პირველად 1850 წელს გამართა განსვენებულმა და ქართველთათვის დაუვიწყარმა თავადმა ᲑᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ძე ᲛᲘᲠᲘᲡᲗᲐᲕᲛᲐ; იმან დასწერა პირველი თეატრში წარმოსადგენად „ᲑᲐᲧᲠᲐ“; თითქმის ყოველმა ქართველმა იცის როგორი დიდის ღირსებისა არის ეს თხზულება; პირველად თითონვე სხვათა დიდ-დიდთა პირთა შორის ითამაშა იმავე 1850 წ. ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ძველს თეატრში.

ᲐᲛ მწერლობით და თამაშობით გამოჩნდა, რომ შესაძლებელი იყო დაარსებულიყო ქართული თეატრი.

ᲜᲔᲢᲐᲠ-ᲑᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲘᲡ ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚᲛᲐ ᲜᲐᲛᲔᲡᲢᲜᲘᲙᲛᲐ Თ. Მ. Ს. ᲨᲝᲠᲝᲜᲪᲝᲕᲛᲐ დიდი ყურადღება მიაქცია, როგორათაც იმ წარმოდგენას, იმ სახით თ. Ბ. ᲛᲘᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ მწერლობასაცა, რომელმაც შემდგომ დასწერა „ᲫᲣᲜᲬᲘ“ და სხვა რამდენიმე პიესები, რომლითაც დაიმკვიდრა სახელი ᲨᲝᲠᲝᲜᲪᲝᲕᲛᲐ, რომელიც იყო იმ დროს რუსეთის იმპერიაში თითქმის ერთი ჩინებულად განათლებული კაცი, სთხოვა ᲛᲘᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ, რადგანაც ქართულს ენაზედაც შესაძლებელი ყოფილა თეატრის დაარსებაო, შეეკრიბა ქართული ტრუპა.

Წინადადება ნამესტნიკისა თ. ᲛᲘᲠᲘᲡᲗᲐᲕᲛᲐ შეასრულა და იმავე 1850 წლის გასულისათვის შეჰკრიბა ქართული ტრუპა, რომელშიაც იყვნენ კეთილშობილთ შვილნი ყმაწვილი კაცნი და ქალნი, და ამ წლისვე ნოემბრის თვეში წარუდგინა თ. ᲨᲝᲠᲝᲜᲪᲝᲕᲡ ეს პირველი ქართული ტრუპა. Იქნება კიდეც ახსოვდეს ვისმეს, რომ როდესაც თ. ᲨᲝᲠᲝᲜᲪᲝᲕᲛᲐ ნახა თავის მისაღებ ზალაში ახლად შეკრებილნი ახალგაზდა ყმაწვილი აქტიორები, დიდად იამა, უალერსა და გამოუცხადა იმათ, დიდად მოხარული ვარო, რომ ქართველებში

სამშობლო ენა, ქართულის თეატრის დაწებით, უნდა აღსდგესო და იმედი მაქვსო, რომ თქვენ ეცდებით თქვენის სამშობლო ენის აღდგინებასა, და მე მზათა ვარო ყოვლის მხრით, რაც შეიძლება, შემწეობა აღმოვიჩინოთ. და მართლადაც არა დაუზოგავს რა ქართულ თეატრზედ შემწეობა.

ბევრს უნდა ახსოვდეს, როგორ კარგათ დაეფუძნა იმ დროს ქართული თეატრი და მოიღო ღირსეული წარმატება.

ის ტრუპა არსებობდა 1855 წლის თებერვლის თვემდე და შემდგომ რომლისამე მიზეზით თუმცა მოიშალა, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდგომ კიდევ დაწესდა და ერისთვისაგან პირველ დანერგულმა ხემ გამოსცა კეთილი ნაყოფი.

დღეს სასიხარულოთა გვაქვს, რომ ნამდვილ ვხედავთ ქართულ ტრუპას. ეს სიხარული ერთი-ორად მექცევა მე, რომელიც პირველ ტრუპაში ვიყავი მოთამაშედ და რომელიც ამ კარგ ბედს ხელმეორედ მოვესწარი.

ამ ტრუპამ 26 ივნისს გორში წარმოადგინა კომედია სამს მოქმედებად „პეპო“, თხზულება ც. სუნდუკიანცისა, რომელშიაც ითამაშეს უ.უ. ყიფიანმა, მაჩაბელმა, აბაშიძემ, ცაგარელმა, გაბუნიას, საფაროვისა და კორინთელის ქალებმა. უცხოთ იყვნენ ეს მოთამაშენი, ყველამ თავისი როლი კარგათ შეასრულა, ისე რომ დიდი კმაყოფილი დარჩა გორის საზოგადოება. და მე ბეჯითად ვიტყვი, რომ ამ ჩინებულ და ნიჭიერ მოთამაშეთაგან შემდგარ ტრუპას შეუძლიან აღდგინება და მკვიდრად დაფუძნება ქართულის თეატრისა, თუ გარეშე ანუ შინაგანმა რაიმე მიზეზმა არ მისცა ამათ დაბრკოლება და მოთამაშეებს არ აუცრუვა გული.

სულით და გულით ვისურვებთ ყველა ამ გვარ მიზეზების მოსპობას და ჩვენი ახალ გაზდა ქართულის ტრუპის წარმატებას სასიქადულოდ ჩვენის ქვეყნისა და სამშობლო ენისა.

გიორგი ჯაფარიძე.

გორი, 3 ივლისს.

დღიური

⁂ ერთი ფრიად სასიამოვნო ამბავი შევიტყვეთ:

ქუთაისში სამასწავლებლო სემინარია იხსნება. ნამდვილად გვაცნობებენ, რომ კავკასიის სამასწავლებლო მაზრის მზრუნველს (პოპეჩიტელს) ამ საგნის შესახებ ოფიციალური ქაღალდი მიუწერია ქუთაისის სახალხო შკოლების დირექტორის უფ. მარსოვისათვის და მოუთხოვია იმისაგან ცნობები; ადგილის ამორჩევის თაობაზედ მოელაპარაკოს უფ. ქუთაისის გუბერნატორს და ქალაქის გამგეობას; შეიტყოს აგრეთვე—თუ რა შემწეობის მიცემა შეუძლიან ქალაქს ამ სემინარიისთვის და სხვ. და სხვ. ამბობენ, რომ ქალაქი ჯერ-ჯერობით თავის მხრით ადგილის მუქთად მიცემას დაჰპირდა ან ფერმასთან ან საღორიაში, ან სხვაგან, სადაც უფრო მოხერხებული იქნება სასწავლებლისათვის.

ადგილის ამორჩევას სამასწავლებლო სემინარიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს: ამ გვარს სასწავლებელს ეჭირება, სამეურნეო ელემენტალური ცოდნის მასალებად, ჰქონდეს თავისუფალი ადგილი რამოდენიმე დესიატინა მაინც, რომ სამაგალითო ბაღის, ბოსტნის, ვენახის, ყანის გაკეთება შეისწავლონ ყმაწვილებმა. ამას გარდა სემინარია ისეთს ალაგას უნდა იყოს, რომ მომსვლელ ყმაწვილებს შეეძლოსთ ახლო-მახლო სახლების დაჭერა და დადგომა.

თვითონ სემინარია რომ ქალაქს ქუთაისში უნდა გაიმართოს, და არა სხვაგან სადმე ქუთაისის გუბერნიის რომელსამე ქალაქში ანუ სოფელში,—ამას ეჭვი არა აქვს.

ამ ნაირად, ქუთაისის გუბერნიას ამ ერთი-ორი წლის განმავალობაში ექმნება თავის სამასწავლებლო სემინარია. ეს მით უფრო სასიამოვნოა, რომ როგორც დამტკიცებულია, არც ერთს მხარეს რუსეთის იმპერიაში არ არის სწავლის ხალისი და მოთხოვნილება ისე გავრცელებული ხალხში, როგორც ქუთაისის გუბერნიაში, და ამავე დროს ეს მოთხოვნილება არსად არ არის ისე ცუდათ დაკმაყოფილებული, როგორც იქ. ამის მიზეზს—მასწავლებლების უყოლობას და სისუსტეს—მომავალი სამასწავლებლო სემინარია მოგვისპობს..

⁂ ტფილისის ფოჩტის გამგეობა აცხადებს, რომ ამ ივლისის 4-დამ ქალაქს ტფილისში გაიმართა მეორე განყოფილება ფოჩტისა, მიხაილოვის ქუჩაზე, სახლის № 105. ამ ფოჩტის განყოფილებაში შეიძლება მიღება და გაგზავნა უბრალო და „ზაკაზის“ წიგნებისა, აგრეთვე ნივთებისა და ფულის არა უმეტეს 1,500 (ათას ხუთას) მანეთისა.

⁂ სოფ. დიღურიდამ (ფოცხოვის საპრისტაოდამ) იწერებიან გაზეთს „კავკაზში,“ რომ ადგილობრივი მთავრობა სოფლისა და ახალციხისაკენ მიმავალ გზების კეთებას შეუდგა ამჟამადაო და ამას გარდა, ჩვენის პრისტავის შუამავლობით, სოფ. დიღურში დაწესდა იარმუკობა (მუდამ კვირის პარასკევს), რომლის თაობაზედაც ხალხს განცხადება დაურიგეს ყველგანაო.

ამავე კორრესპონდენტის სიტყვით, ფოცხოვის მაზრაში, როგორც ეტყობა, თავის დღეში მონადირეს არ გაუვლია, რადგან ყველგან უანგარიშო მელებსა და კურდღლებს შეხვდება კაციო. იქაურ ვაშლს, სხალს, ალუბალს და განსაკუთრებით კაკალს (ნიგოზს) აქებს კორრესპონდენტი.

⁂ ქიზიყიდამ გვწერენ, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ სოფელს ვეჯინში ყოფილა მდიდარი ბიბლიოთეკა ქართული წიგნებისა; განსაკუთრებით ბევრი ძვირფასი ხელ-ნაწერი წიგნები იყოვო; მაგრამ დღეს კი თითქმის ერთი-წიგნიც აღარ მოიპოვებაო; სულ ერთიან ადგილობრივ ბლაღოჩინის ხელში გაილ[illegible]ცლაო და ზოგიც უცხოთ მოსულ მღვდლებმა გაზიდესო.

⁂ სიღნაღის მაზრიდამ გვატყობინებენ, რომ ამ უკანასკნელ დროს იქითკენ ქურდობა გავრცელებულა და ადგილობრივი მთავრობა ამ გარემოების მოსასპობელად თითქმის არავითარ ღონის-ძიებას არ ხმარობსო.

⁂ ქუთაისიდამ მოგვივიდა ამბავი, რომ ჩვენს „მოგზაურ ტრუპას“ მესამე წარმოდგენა ჰქონია იქ ამ ხუთშაბათს; მაგრამ რამდენათაც პირველი და განსაკუთრებით მეორე წარმოდგენა წასულა კარგათ, იმდენად ეს მესამე წარმოგენა გაუფუჭებიათ. ვოდევილები უთამაშნიათ, ძომზადებულები არ ყოფილან. უ. კოტე ყიფიანს ამას გარდა წაუკითხავს (წარმოუდგენია) „შეშლილის წერილები“—გოგოლისა; ალაგ-ალაგ ნიჭიერად წარმოუდგენია, მაგრამ მოუმზადებლობა ამასაც ეტყობოდაო.

ქუთაისიდამ ტრუპა, როგორც გვწერენ, ახალციხესა და აბასთუმანში აპირებს წასვლას და იქიდამ კი ტფილისში დაბრუნდება.

„დროების“ კორრესპონდენცია

სამუხრანოდამ, 2 ივლისს. ყველამ იცის—თუ რა უბედურება ეწვია წლეულ ჩვენ ქართლს, რა ნაირათ აიოხრა კალიამ ნახნავ-ნათესი. ცხრა ივნისს მთელი სამუხრანოს მინდორი, არაგვიდამ ლეხურამდინ, სულ ხელთ დაიჭირა.

პატარა ადრე რო მოსულიყო, იმდენათ ვერ დაალონებდა სამუხრანოს მცხოვრებლებს, როგორც ეხლა. ძველი პური ბლომათა ჰქონდათ და რაკი კარგი პირი უნახეს თავიანთ ყანებს, მოუსვეს ხელი და სუ კოდი სამ მანეთათა ყიდეს ვაჭრებზედ.

მართლა-და მშვენიერი მოსავალი იყო მუხრანის მინდორში. თითო დღიური უკანასკნელ ოცი კოდის იმედს აძლევდა პატრონს; დღეს კი ჩანახსაც ვერ შაიტანენ სახლში.

საშინელი ზარი დასცა კალიის მოსვლამ საცოდავეებსა. მთელი სოფლები დიდიდამ პატარამდენ სულ მინდორში გამოვიდა და ეხვეწებოდნენ უკან გაბრუნებას; მაგრამ კალიამ თავისი არ დაიშალა; ხუთ-ექვს მინუტში გლეხებს თვალ წინ, სადაც აქამდენ კაცი დაიმალებოდა, ნაბჯაც აღარ გაუშვა.

ამ თავიანთი ხვეწნა-მუდარით რომ ვერა გააწყვეს-რა, სთხოვეს ღვდელს ხატები გამოებძანებინა მინდორში და პარაკლისი ეხადნა, აგება იმან მაინც გვიშველოს რამეო. ღვდელმა უარი არ უთხრა. იყიდეს სასოფლოთ ღვინო, თევზი; მოკრიფეს გამომცხვარი პურები და მეორე დღეს გავიდნენ ყანებში. ღვდელმა

იხადა პარაკლისი, იაზმაც ზედ მიაყოლა, ასხურა ჯვარედინათ მინდორი და დაჯდა ერთ დიდ თელას ქვეშ. საგძალიც მიიტანეს, გაშალეს სუფრა და პატარახანს უკან ჯამის ტრიალმა დაავიწყებინა ყველაფერი აქამდინ მომტირალე ხალხსა...

ამანაც ვერ გასჭრა.

მესამე დღეს გავარდა ხმა, რომ ქსნის ღვდლები წმინდა სამება ოქროს-პარიანს მოაბძანებენ სამუხრანოში კალიეების გასარეკათოო. ამ ამბავმა ძალიან გაამხიარულა ხალხი. „იმას ხო ვერა გაუძლებსრა." ამბობდნენ. „დიდი ხორველა რო ყოფილა, ის გამოუბძანებიათ, ვენაცვალე იმის სახელს, და საცა შამოუვლიათ, იქ ბუზიც არ მომკვდარა! აბა კალიას რას დააყენებს თავის კალთას ქვეშ!"

გაჩნდა კიდევ საჭმელი. სუდია-მამასახლისნი დაფაცურდნენ, იყიდეს კიდევ სასოფლოთ ღვინო, თევზი; მოკრიფეს გამომცხვარი პური, და გაგზავნეს კაცი ამბის შესატყობლათ. მოვიდა კაცი და უამბო, რომ სამება ლამის-ყანაში ჩამოუსვენებიათ და საცა ის მოდგება, სუ იხოცებიან კალიეებიო. „ვენაცვალე იმის მადლსა, გაიძახოდა მამასახლისი, ძალა აქვს და ყმებიც ვყევართ! აბა თქვენი ჭირიმე, ბიჭებო, ვასახელოთ ჩვენი თავი. ვისაც იმისი ზედაშე გაქვთ, ყველამ მოხადეთ, ხო ხედამთ თავისი ფეხით მობძანდება თქვენთან!."

მოხადეს ზედაშეებიცა და გაგზავნეს მეორე კაცი. გაგზავნილი კაცი მოვიდა დაღონებული და თქვა, რომ თეზელებს ღვდლებისთვინ საპარაკლისო არ მიუციათ და უკან გაბუტულები გაბრუნებულანო... დაღონდეს შენი მტერი, რომ ორნი დაღონდნენ. მაგრამ რაღას გააწყობდნენ?

შემდეგ, ერთი სარწმუნო პირისაგან შევიტყე რომ იმათი გაბრუნების მიზეზი ღვდლების ერთმანეთში უთანხმობა ყოფილა; ჯერ ისევ ლამის-ყანაში მოსვლიათ სახალხოთ ჩხუბი და ბაზრული სიტყვებით ულანძღავთ ერთმანეთი. ეს არაფერი. ახალ გორში რო ასულან, შემდეგ ლოთობისა, მოსვლიათ ცხენ-დაცხენ ერთ ღვდელს და დიაკვანს მუშტის-კრივი; მთელი ახალ-გორი თურმე თავს დაეცა და მინამ ცხენებს კუდ ქვეშ ნარეში არ ამოუდეს და თვითონ ცხენები არ გაიქცნენ აქეთ-იქით ნარეშისაგან შეწუხებულები, მანამ ვერავინ თურმე გააშველა..

აგარეკელი

ქართული მწიგნობრობა უცხოეთში

(დასასრული *)

ერთი სიტყვით, ვისაც უნდა რომ გაატაროს სიცოცხლე კეთილი ქრისტინივით თავისი სულის სასარგებლოდ, ხელიდამ არ დასტოვებს და იკითხამს ხშირად ამ ორს წიგნსა, ვითამც „წინამძღვარსა ზეცისასა" და გზასა ცხოვრებისასა" და შეიტანს პრაქტიკაში (საქმეში) იმ სწავლათა და დარიგებათა რომელთაც ასწავლიან ესენი; რადგან ჩვენი პირველი და ყოვლად საჭირო საქმე არის ჩვენი სულის ცხონება, ამიტომ, რომ თუ ცოდვას არ მოვშორდებით, კეთილათ არ ვიცოცხლებთ, და მით ჩვენს სულს ვერ ვაცხოვნებთ, მაშინ სხვა ყოველივე ტყვილი და ფუჭი არის ჩვენთვის. როგორც ამბობს უფალი იესო ქრისტე: „რამეთუ რა სარგებელ ეყოს კაცსა, უკეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს, და სული თვისი იზღვიოს. ანუ რა მიჰსცეს კაცმან ნაცვლად სულისა თვისისა, რამეთუ მოსვლად არს ძე კაცისა დიდებითა მამისა თვისისათა ანგელოზთა მისთა თანა, და მაშინ მიაგოს კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ". მათეს ივ. 26, 27.

ქვლავ ვისაც უნდა შეიქმნას ბრძენი, გამოცდილი და დახელოვნებული პირი თავის გარეულს საქმე ყოფაში და იყოს შემკული ზნეობითა და მოქალაქეობითა, იკითხამს ხშირად ისიც ამ ორს წიგნსა, ვითამც, „სიბრძნესა კაცობრივსა" და „ბრძენს კაცსა" და შეუდგება ამათს სწავლასა და დარიგებასა. ესრეთვე ვისაც უნდა, რომ იყვნენ საკმაოდ მცოდინე პირნი თვით და თვისი შვილები, ისწავლის და ასწავლებინებს თავის შვილებსაც ზემო ხსენებულს ხუთს წიგნსა, ვითამც, გრამმატიკას, რეტორიკას, ფილოსოფიას, გეოგრაფიას, და ძველსდა ახალს ისტორიასა, რომლით ისრე კარგათ მოამზადებს თანვე თავის შვილებს გიმნაზიაში გარდაყვანისათვის, რომ როცა გარდავლენ იქ, სრულ ადვილად, სწრაფად და საფუძვლიანად შეისწავლიან ისინი რუსულს ენასა და სხვა ყოველს სამეცნიერო საგნებსა და გამოვლენ მეცნიერნი პირნი.

ეს ზემოხსენებული წიგნები, თუმც ჩვენი ნატვრის დაგვარ კიდევ ვერ უპასუხებენ საქართველოს საზოგადოების ყოველს მოთხოვნილებასა, და შეამჩნევს საზოგადოება იგი ამათში სხვა-და-სხვა ისეთს ნაკლებულობათაცა, რომელნიც საზოგადოდ მოხდებიან ხოლმე წიგნების პირველს გამოცემაებში, და შენიშნავს საშვალ ლექსთა თხზულებისაცა ზოგიერთ ურიგობათა, რომელნიც მოხდნენ ქართული ენის შეუმუშავებლობის გამო, რომლის გრამმატიკული ფორმები ჯერედ დამდგარნი არ არიან; მაგრამ იმედი გვაქვს ამ გზობად მოგვიტევებს საზოგადოება იგი ამფერ უნებურს ნაკლებლობაებს, რადგან ახლა მრავალი სიძნელების გამო, შეუძლებელი იყო უკეთესი ნაირობით გამოცემა მათი და ვპირდებით, რომ ამ წიგნების მეორე გამოცემაებში შევასწოროთ გულს მოდგინებით ყოველი ნაკლებულობანი და დავაკმაყოფილოთ იგი ყოველ ნაირად და ვითარცა, თუ კაცს მადა აქვს არ დაიწუნებს თიხის ტალერქით მოურთმევიათ მისთვის საჭმოლი, თუ ვერც, ხლის ტალერქით, ეგრეთვე საქართველოს მომავალი ახალი თაობაც, რადგან საჭიროებს ამისთანა კეთილს და სასარგებლო წიგნებს დაწ[illegible] სწავლაში, არ დაიწუნებს [illegible] ჰპოვოს ამათში რაიმე ნაკლებულებანი ქართული ენის თვისების გინა ხასიათის შესახებ, არამედ მხოლოდ ისარგებლებს სწავლით იმ მშვენიერი სასარგებლო და სამეცნიერო საგნებისა, რომელნიც არიან შეცულნი ამ წიგნებში.

ჩვენ უმჯობესად შევრაცხეთ შემოკლებული წიგნების გამოცემა სახელმძღვანელოდ, ვირემც ფართო მოლაპარაკე და დიდრონი ტომების გამოცემისა, არა მარტო მისთვის რათა შევსდგომოდით მცნებასა იმ ბრძენი და სახელოვანი პირისასა, რომელიც ამბობს: „**Quidquid praecipies esto [illegible]evis" (Horace).** რაც ასწავლო, მოკლედ იყოს გამოთქმული ორაციო;) არამედ თანვე ამ განზრახვით რომ სასოფლო სკოლების ყრმათა საზოგადოთ ცოტა დრო აქვსთ სწავლისა, რადგან მშობელთაგან ზოგთსიგლახაკის გამო სჭირიათ შემწეობა მათი თავიანთ შრომაში და ამისთვის ფრიად დიდ ხანს ვერ დასტოებენ მათ სწავლაში, და ზოგთაცა უნდათ მალე გარდაყვანა შვილებისა გიმნაზიაში, ამისთვის საჭირო იყვნენ მათთვის ამფერი შემოკლებული წიგნები, რათა ცოტა ხანში, პირველთა ესწავლათ საკმაოდ სამეცნიერო პრინციპები და პირველ დასაჭირნი საგანნი გამოსადეგნი კაცობრივს ცხოვრებასა შინა, და მეორეთაც შესძლებოდათ მათით კარგად განმზადება გიმნაზიაში გარდასვლისათვის. ეს წიგნები, თუმც შემოკლებულნი არიან, მაგრამ არიან ამასთანავე საკვირველად გამოწურვილნი სახელოვანი სამეცნიერო ტომებისაგან, და მით შეტანილნი არიან ამათშიდ მთავარნი და საჭირო საგანნი მეცნიერებისა.

ამისთვის თუ გულს ხმიერებით იკითხამს ყმაწვილი, ამ მოკლე სახელმძღვანელოებით უფრო ისწავლის, ვირემც დიდრონი ტომების კითხვით, რადგან ბევრჯერ ცოტა დრო ექმნება სწავლისა ყმაწვილს, და სასწავლო რამებიც, რადგან ძრიელ ბევრნი არიან, (მეტადრე ამ დროს, რომელში ევროპიული სხვა-და-სხვა ენების სწავლაც საჭიროდ გვიხდება) ამისთვის, რათა მოასწროს განსაზღვრილ დროში სწავლის გათავება, საჭირო გაუხდება მას რომ ჩქარა და პირპირ გარდაკითხვით გარდიაროს ის ტომები, რომლით ველარასფერს ჩახვდება; და ანუ ცოტა ტალანტი და ცოტა ნიჭიერება ექმნება და სირამდი დიდი ტომის ბოლოში გარდვიდოდეს, წინად ნასწავლი რამები ერთიან გარდაავიწყდება, და დამტკიცდება ბრძენი ფონთენის სიტყვა, რომ **qui trop embrasse mal etreint.** „ვინც ბევრს გამოეკიდება, ცოტასაგანაც ცარიელი დარჩებაო".

ბოლოს, რადგან (ვითარცა ვჰგონებთ) დღედმდე არ იყვნენ ქართულს ენაზედ დაბეჭდილნი მეცნიერების სწავლისათვის საჭირო ხელთ სამძღვანებელი წიგნები, რომლებისაგანაც შესაძლებელი ყოფილ იყო ზოგიერთი ტეხნიკური ლექსების ამოკრეფა, ამისთვის ყოველი ღონის-

---

*) „დრება", № 139., 141,

ძიებით ვეცადეთ, რათა გვეპოვნა იმ ნაირი ლექსები, რომელნიც ყოფილ იყვნენ ქართული ენის თვისებისანი, და ზოგნიცა ვსთარგმნეთ ფრანციცულიდგან. მაგრამ, რადგან ამ ლექსთაგან ზოგიერთი პირველში ძნელი მისახვდენია, ვიდრემდის კაცი კარგად შეეჩვეოდეს იმათ, ამის გასაადვილებლადაც ზევრს ადგილს გვერდითვე მიუწერეთ ის ფრანციცული ლექსები, რომელთაგანაც გარდმოითარგმნენ ისინი, საცნობელად თუ რომელი ფრანციცული ლექსის მაგიერათ გვიხმარია ჩვენ ის ქართული ტეხნიკური ლექსი.

ამ წიგნების ნათლად გამოყვანას და გამოცემას თუმცაღა დიდი ხნის თავ-გაწირული შრომა და დიდი წარსაგები დაჰსჭირდა, მაგრამ, რადგან დიდათ გვიყვარდა და მიგვაჩნდა საქართველო, და გვქონდა ნატრა მისდამი სამსახურის ჩვენებისა, ყოველ ნაირი მძიმე შრომანი და წარსაგების მსხვერპლნი თავზედ ავიღეთ, რათა მისცემოდა საქართველოს საზოგადოებას შემწეობა წარმატებისა სწავლაში, და ამის მომავალ ახალ თაობასაცა საშუალება მეცნიერებაში დაწინაურებისა. ამისთვის იმედი გვაქვს რომ საზოგადოებაცა ესე თვისი ჩვეულებრივი გულ-კეთილობითა მისცემს შესაფერს და შემაგულიანებელს ღირსებასა ამ ჩვენს შრომას, მიიღებს პატივდებაში ამ დასტამბულს წიგნებსა და გამოიყენებს ამათ საჭიროებისათვის თვისი სასოფლო სკოლებისა, რომლით უქმათ არ ჩაივლის თავ-გაწირული მოღვაწებაცა ესე ჩვენი.

გამომცემელნი ზემოდ ხსენებულთა წიგნთა მონთობანში მყოფნი კათოლიკე მღვდელ მონაზონნი მონაზონებრივი საზოგადოებისაგან უმანკოდ შთასახებული ღვთის მშობელი ქალწული მარიამისა.

1877 ქალაქსა მონთობანს (ფრანცია) მონასტერში მონაზონთა ერთობისაგან მონათა უმანკო შთასახებისათა.

საბაასო

უფ. ივანე ალიბეგოვს

გაზეთის „დროების“ № 132-ში წავიკითხე თქვენი წერილი შესახებ ფოთის სომხის იკკლესიის მღვდლის ტ. ქ. ტ—ზედ და ფოთის სომხებზედ.

თქვენ ესარჩლებით მღვდელს და ამტკიცებთ, რომ იმას ფოთის ეკკლესიიდან არაფითარი ნივთები არა წაუღია-რა ბათუმის ეკკლესიისათვისო, თვინიერ ერთის სურჩლისა. ამაზედ მეც შემიძლიან დაგემოწმოთ, იქნება მართლათაც არა წაეღოს-რა, „დროების“ კორრესპონდენტი იქნება შემცდარი იყოს, ხსენებულს მღვდელზედ არ უნდა მიეთითებინა, მაგრამ ვინ იცის იქნება რამე საბუთი უჭირავს ხელში და იმისთვის ასე გაბედვით დასწერა. ამას თავი დავანებოთ, მღვდელი და კორრესპონდენტი ერთმანეთში მორიგდებიან.

მაგრამ მე მაკვირვებს თქვენი უგუნური, წინდაუხედავი და ცრუ კორრესპონდენცია; იწერებით, ვითომც მამა ტ. ქ. ტ. სამი წელიწადია ფოთის მღვდლათ აღარ იყოს. თუ აქაურ მღვდლათ აღარ ირიცხება, 1878 წელს აღდგომას ფოთის მცხოვრებლების სახლები ვინ აკურთხა? სააღდგომოთ მღვდელი ვინ იყო? ვგონებ ტ. ქ. ტ. და არა სხვა. ამა წლის იანვრის 4-ს დეპეში ვინ დაუკრა ქუთაისის სომხის ბლაღოჩინს ტერ-დავით იარალიანცს, მე ვეღარ მოვდივარ სანათლიღებოთ ფოთში და სხვა მღვდელი ჩაგზავნეთო? ვგონებ ესეც ტ. ქ. ტ. იყო და არა სხვა. მაშასადამე ხსენებული მღვდელი ჯერაც არ არის გამოცვლილი. ესეც თქვენი სიცრუე. მართლა რომ გამოცვლილი იყოს მღვდელი, თქვენ მადლობის ღირსი იქნებით ცნობისათვის და ჩვენც ჩვენს თავდარიგს ვიზამთ მღვდლისასა.

ეგრეთვე ბრძანებთ, ვითომც ჩვენ ფოთის საზოგადოების სომხებმა სასულიერო მთავრობას ვაწუხებდეთ, მღვდელს ვსთხოვდეთ წელიწადში თექვსმეტჯერ და ვერც ერთს ვერ ვიფერებდეთ. ესეც კიდევ თქვენი დიდი დაუფიქრებელი სიცრუეა. მღვდელს როგორ ვითხოვთ, რომ ძველი არ არის გამოცვლილი? თქვენ თუ ამას დაამტკიცებთ, რომ ჩვენ ამ სამს წელიწადში მღვდელი გვითხოვნია, მაშინ მე შტრაფს გადაგიხდით ორას მანეთს, რომელი სომხის ეკკლესიისათვისაც გნებავთ სასარგებლოთ, რადგან თქვენ გვარის მოყვარული სომეხი ბრძანდებით, და უკეთუ თქვენ ვერ დამიმტკიცებთ, მაშინ თქვენ, დასასჯელად ცრუ ლაპარაკისათვის, ერთს კვირას უყარაულეთ იმ თათრების შენობას, რომელიც ბათუმში ბაზრის პირ-და-პირ არის აშენებული შიგ ზღვაში ბევრი კარებით და უკლიტურით, რომ კარებები არავინ მოიპაროს..

კიდევ ბრძანებთ, ფოთის სომხები მარტო სიტყვით არიან გვარის მოყვარულნიო და არა საქმითაო. აგიღიათ კალამი და რაც პირზედ მოგდგომიათ გიბღარჯნია ქაღალდი. აბა ერთზედ მიმითითე, რომელი არ არის ჩვენში თქვენზედ უკეთესი სომეხი; ვინ არის, რომ შენზედ უკეთესი გვარის მოყვარული არ არის?

საზოგადოთ იმ თქვენს სტატიას რაღაცა სხვა ნაირი მჟღლები ადგია; იმ ნაირათ იღრიჯებით, რომ ვგონებ ორი მკურნალი უნდა სწამლობდეს; მაგრამ არცერთის წამალი არ უხდება, ძალიან დასუსტებულია.

ფოთელი სომეხი.

რკ. გზა.	დილ.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ.	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
გორი. . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური . . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი . . .	1	44			4	90	2	61
ყვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი. . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი. . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი	9	3						
ახალ-სენაკი.	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	[illegible]	1	33
რიონი . . .	12	13			3	84	1	97
ყვირილა . .	1	18	ღამე.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . . .	5	39	1	37	7	51	3	84
გორი	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილისი. .	9	31	7	56	12	24	6	26

ტელეგრაფი	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს,	2	—
პეტერბურღს, ვარშავს . . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში . .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში.	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.— პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
ღია წიგნის	3
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	7

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი 4 ივლისს.		
ფქვ. თეთ. ზანჯისა ფუთ.	2	20
ფქვ. წითელი . .	1	60
ქერი ფუთი . . .	1	40
ბამბა ერევნისა, ფუთი.	8	50
—ამერიკისა, ფუთი .	9	30
ზაპენტილი ბამბა ფუთი.	10	70
მატყლი თუშური ფუთი.	8	20
—თარაქამისა ფუთი .	4	30
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	10
ქონი ფუთი . . .	5	90
ქონის სანთელი ფუთი.	7	60
სტეარინის სანთელი ფ.	12	35
ხორცი ძროხისა .ლიტრა	—	81
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	90
სპირტი ვედრო . .	4	50
შაქარი ბროც. ფუთ .	7	10
—ფხვნილი ფუთი .	5	75
ყავა რგვალი გრვ. .	—	60
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი.	11	80
თამბაქო საშუალო ფთ.	6	70

თფილისის სამკურნალო.

ერევნ. მოედ., წინამძღვაროვ. სახლი.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-დის.

ორშაბათს: ლისიცევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათმყოფობის.

სამშაბათს: ვერმიშევი და ბაბოვი—გულისა და შინაგ. ავათმყოფ.; რეიხი—თვალის, ყურავლევი—კანისა და ვენერიულის, ბახუტოვი—ქალისა და ბავშვების.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგ., ბაბაევი—ნერვების.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ავათთმყ. და ყურავლევი—კანის და ვენერიულის.

პარასკევს იქნებიან: ლისიცევი, ბაბოვი, ბაბაევი და ბახუტოვი.

შაბათს: ვერმიშევი, რეიხი და ყურავლევი.

ორბეხტი—კბილის ექიმი და ბაბაევი მიიღებენ შინ, ღარიბებს მუქთად.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Іюня 1879 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.